ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე, მატერიალური დახმარების კუთხით გაცემული, ფინანსური დახმარების ათვისების შედეგების შესახებ ინფორმაცია

საკრებულოს სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას 2014-15 წლებში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობაზე (კატეგორიების მიხედვით) გაცემული თანხების მიზნობრივ გახარჯვაზე მონიტორინგი დაევალა.

ჯანდაცვის კომისიამ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად მოახდინა დაბის და კიცხის ზონის მოსახლეობის (დაახლოებით 25 ოჯახი) იმ ნაწილის გადამოწმება, რომლებმაც ასეთი სახის დახმარებები უკვე მიიღეს.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა შემდეგი: ბენეფიციართა გარკვეულ ნაწილს მიღებულ თანხაზე მეტი მოცულობის სამუშაოები აქვთ შესრულებული. უმეტესობას სახლისთვის ან საერთოდ არაფერი გაუკეთებია ან ცოტაოდენი სამშენებლო მასალა აქვთ შეძენილი. ჩვენს შეკითხვაზე - რაში გამოიყენეს თანხა - გვპასუხობენ, რომ არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩარიცხული თანხა არ ჰყოფნით და როცა დასამატებელი ფული გვექნება მაშინ დავიწყებთ მუშაობასო. ზოგმა განგვიცხადა, რომ ფული ბანკში აქვთ შენახული.

კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ პროექტის გასაგრძელებლად გარკვეული მოსაზრებები აქვთ. შევთანხმდით შემდეგზე: პირველი კატეგორიის ბენეფიციარებს ანუ ხანძრის, მეწყერის, სახლის მთლიანად განადგურების და საცხოვრებლად გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს. ხოლო მეორე და მესამე კატეგორიის ბენეფიციარებზე თანხის გაცემამდე, კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი ვთანხმდებით შემდეგზე: გამგეობის შესაბამის კომისიაში უნდა ჩაერთონ არქიტექტორი და მშენებელი, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ შესრულებული სამუშაოს ოდენობას. მათ ბენეფიციართან უნდა გააფორმონ ოქმი თავიანთი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

მაგალითად, მესამე კატეგორიის ბენეფიციარის სახლის გასამაგრებლად თუ ესაჭიროება 1 200ლარი, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს კატეგორიის შესაბამისი თანხით - 500 ლარით, დანარჩენი სამუშაო მან თავად უნდა შეასრულოს. უნდა ავუხსნათ მოსახლეობას, რომ მუნიციპალიტეტი მთლიან სამუშაოს ვერ დააფინანსებს. კომისიის გადაწყვეტილებით სასურველი იქნება პირველ რიგში იმ ოჯახების დახმარება, რომლებსაც უკვე დაწყებული აქვთ სამუშაოები.

კომისიები ერთობლივად აგრძელებენ მუშაობას ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, რათა სრულყოფილი სურათი გვქონდეს პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გივი თხელიძე